საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/3377
10/05/2023

3377-21-2-202305101117

**ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი მილსადენის კომპანია (საქართველო)-ს**
**მის:** ქ. თბილისი, იალბუზის ქუჩა 14
**ელ-ფოსტა:** laitn0@bp.com

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №2817 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ბორჯომის მუნიციპალიტეტში, სოფ. ანდეზიტის მიმდებარედ მდ. ცხრაწყაროს ნაპირდაცვითი სამუშაოების განხორციელებას.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს და მოცემული უნდა იყოს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- გრაფიკულ ნაწილში წარმოდგენილ 1-1, 4-4 და 5-5 განივ კვეთებზე დამცავი ნაგებობის თხემის ნიშნული უფრო დაბლაა, ვიდრე საანგარიშო დატბორვის დონე, ამდენად ამ უბნებზე, საანგარიშო წყალდიდობის დროს, მოსალოდნელია ტერიტორიის დატბორვა;
- მრუდხაზოვან უბანზე კალაპოტის მაქსიმალური წარეცხვის სიღრმის განსაზღვრის დროს გათვალისწინებული უნდა იყოს ფერდობის საპროექტო დახრილობა;
- წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, მდ. ცხრაწყაროში თევზი არ ბინადრობს და არ არის წარმოდგენილი საქვირითე ადგილები. გარდა ამისა, პროექტის მიხედვით მოხდება მდინარის ნაკადის დროებით კალაპოტში გადატანა. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საჭიროა სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი იყოს უფრო დეტალური ინფორმაცია მდ. ცხრაწყაროში გავრცელებულ წყლის და წყალზე დამოკიდებულ სახეობებზე, მათზე მოსალოდნელ ზემოქმედებაზე და ამ ზემოქმედების თავიდან აცილების ღონისძიებებზე;
- სკრინინგის განცხადებაში (ცხრილი №9- სამშენებლო სამუშაოების მოცულობათა უწყისი) აღნიშნულია რომ პროექტის ფარგლებში მოხდება 1012 $მ^3$ მოცულობის გრუნტის ექსკავაცია. დაზუსტებას საჭიროებს დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში ექსკავირებული გრუნტის შემდგომი მართვის საკითხი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო